ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

მხდალი კურდღელი დათვის დანახვისთანავე ბუჩქებში მიიმალა. ამ წინადადებაში სიტყვა **მხდალი** ნიშნავს:

ა) მორცხვს ბ) მშიშარას გ) სწრაფს

უნდა შემოხაზო პასუხი **ბ) მშიშარას**, რადგანაც ამ წინადადებაში სიტყვა მხდალი მშიშარას ნიშნავს.

მეორე მაგალითი:

ფუტკარი ზუზუნებს, ცხვნი _____ .

ა) ყროყინებს ბ) ჭიკჭიკებს გ) ჭიხვინებს

უნდა შემოხაზო პასუხი **გ) ჭიხვინებს.**

გამოტოვებული სიტყვა წინადადებაში არ ჩაწერო, მხოლოდ შემოხაზე შერჩეული სიტყვა.

---

1. ირმისას დევის **მოთვინიერება** არ გასჭირვებია. აქ სიტყვა <u>**მოთვინიერება**</u> ნიშნავს:

   ა) დამშვიდებას, ბ) მორჯულებას. გ) მოტყუებას.

2. **ტლანქი** ბიჭი ცეკვის დროს თავს უხერხულად გრძნობდა. <u>**ტლანქი**</u>, ანუ:

   ა) მორცხვი. ბ) მოუქნელი. გ) მოწყენილი.

LIVEWORKSHEETS

3. ლიკა ძალიან **მოხდენილი** გოგოა. **<u>მოხდენილი</u>**, ანუ:

ა) კოხტა. ბ) მშვიდი. გ) ნაზი.

4. **გულგატეხილი** მოხუცი არავის ელპარაკებოდა. **<u>გულგატეხილი</u>**, ანუ:

ა) დამწუხრებული. ბ) იმედდაკარგული. გ) შეშფოთებული.

5. ის ყოველთვის **ჭოჭმანობს** გადაწყვეტილების მიღებისას.
აქ სიტყვა **<u>ჭოჭმანობს</u>** ნიშნავს:

ა) იბნევა. ბ) ყოყმანობს. გ) ჩქარობს.

6. საღამოობით პაპა ბუხარს მიუჯდება ხოლმე და იქვე **ჩათვლემს**.
აქ სიტყვა **<u>ჩათვლემს</u>** ნიშნავს:

ა) დაფიქრდება. ბ) მოიწყენს. გ) ჩაეძინება.

7. მზეჭაბუკმა **ციმციმ** აიტაცა შვლის ნუკრი. აქ სიტყვა **<u>ციმციმ</u>** ნიშნავს:

ა) მსუბუქად. ბ) სწრაფად. გ) ძლივს.

8. მდინარე, რომელიც სხვა მდინარეს ერთვის, არის:

ა) სათავე. ბ) ფონი. გ) შენაკადი.

9. ის, ვინც თავის გრძნობებს ღიად გამოხატავს, არის:

ა) გულთბილი. ბ) გულმოდგინე. გ) გულწრფელი.

10. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
ირგვლივ ..... დაისადგურა.

ა) სინათლემ. ბ) სიჩუმემ. გ) ხმაურმა.

LIVEWORKSHEETS

11. რომელია **პემვის** მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა?

ა) მუშტი. ბ) მუჭა. გ) მტკაველი.

12. რომელია **ხმელის** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა?

ა) მშრალი. ბ) ნამიანი. გ) ნედლი.

13. გამოთქმა **ცის ანაბარადაა** ნიშნავს:

ა) დაკარგულია. ბ) უზრუნველადაა. გ) უპატრონოდაა.

14. დილიდან ფეხზე ვდგავარ და **ქანცი გამიწყდა.**
გამოთქმა **ქანცი გამიწყდა** ნიშნავს:

ა) ძლიერ გავბრაზდი.
ბ) ძლიერ დავიღალე.
გ) ძლიერ მოშმივდა.

15. პაპამ ეს ამბავი **ხელზე დაიხვია.** გამოთქმა **ხელზე დაიხვია** ნიშნავს:

ა) გაიხსენა. ბ) მოიმიზეზა. გ) მოიწონა.

LIVEWORKSHEETS

თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ნიანგი და მაიმუნი

დიდი ხნის წინათ ოკეანის ნაპირას ერთი ბანანის ხე იდგა. ამ ხეს ერთი მაიმუნი შეეხიზნა.

ერთხელ ოკეანიდან უშველებელი ნიანგი გამოცურდა და ბანანის ხის ძირას ქვიშაზე გაწვა. მაიმუნმა ნიანგი დაინახა და უთხრა:

- დღეს შენ ჩემი სტუმარი ხარ. მოდი ერთი ჩემს ბანანს გაუსინჯე გემო. ძალიან ტკბილია.

მაიმუნმა ბანანები ნიანგს ჩამოუყარა. რამდენიმე იქვე შეჭამა და ძალიან მოეწონა. ორი კი ცოლს წაუღო.

ცოლსაც ეგემრიელა ბანანი და გაიფიქრა: მაიმუნი თუ სულ ასეთ ტკბილ ნაყოფს მიირთმევს, მის გულზე გემრიელი ალბათ ქვეყანაზე არაფერი იქნებაო. ქმარს მაიმუნის გულის მოტანა მოსთხოვა. ამას ვერ შევძლებო, - წუხდა ნიანგი, მაგრამ ცოლს ვერ გადაათქმევინა. სხვა რა გზა ჰქონდა! უნდა წასულიყო და ცოლის სურვილი შეესრულებინა.

მაიმუნი ძველი მეგობარივით შეხვდა. კიდევ გაუმასპინძლდა ხილით. თან ჰკითხა, შენს ცოლს ბანანი ხომ მოეწონაო.

- ჩემმა ცოლმა დიდი მადლობა შემოგითვალა, - მიუგო ნიანგმა. - ჩემს დღეში ამაზე ტკბილი არაფერი მიჭამიაო, ასე თქვა და გთხოვა, სტუმრად გვეწვიეო.

- აბა როგორ? - გაოცდა მაიმუნი. - თქვენ ხომ წყალში ცხოვრობთ, მე კი სულ ამ ხის კენწეროზე ვზივარ.

- ეგ არაფერია. ზურგზე შემაჯექი და ისე წაგიყვან.

LIVEWORKSHEETS

მაიმუნს ბევრი არ უფიქრია. მწიფე ბანანები დაკრიფა, ნიანგს ზურგზე შეაჯდა და გაჰყვა. როგორც კი ნაპირს გასცდნენ, ნიანგმა ერთი გადაიხარხარა.

- რა გაცინებს? - ჰკითხა მაიმუნმა.

- რა მაცინებს და მიხარია, რომ ასე მოხერხებულად გაგაბრიყვე, - მიუგო ნიანგმა. - ჩემს ცოლს შენი გულის შეჭმა მოესურვა. ვიფიქრე, ვერ დავიჭერ-მეთქი, შენ კი შენი ნებით მომდევ.

მაიმუნს ჯერ ძალიან შეეშინდა. მერე კი გაიფიქრა: მხოლოდ სულელებს უკვირთ, როცა საკუთარი ჭკუით რამეს მოახერხებენ. ნიანგიც ალბათ სულელი არისო და გადაწყვიტა, რამე ელონა.

- ეჰ, ჩემო საცოდავო ნიანგო, როგორ მებრალები! რომ იცოდე, რა დღეში ჩაგაგდებს შენი ცოლი, შინ რომ მიხვალ. რატომ ადრე არ მითხარი, რასაც აპირებდი? - ავიშვიშდა მაიმუნი.

- რა იყო? - ჰკითხა ნიანგმა.

- რა და, გული ბანანის ხის კენწეროზე დავტოვე. რად მინდა, ვიფიქრე, არ დამისველდეს-მეთქი. ახლა რა გეშველება, შენს ცოლს რა უნდა უთხრა?

ნიანგი გაბრაზდა. მაიმუნმა დაამშვიდა:

- უკან გამაბრუნე. მივალ, გულს წამოვიღებ და შენს ცოლს ისე ვესტუმრები.

ნიანგს გაუხარდა და უკანვე მიტრიალდა. ხმელეთზე გავიდნენ თუ არა, მაიმუნმა ისკუპა და სწრაფად აძვრა ბანანის ხეზე.

უცადა ნიანგმა მაიმუნს, უცადა. რომ აღარ გამოჩნდა, დაუძახა. მაიმუნი კი იჯდა თავისთვის ხეზე და იცინოდა.

- თუ მაიმუნის გულის შეჭმა გინდა, - გამოეპასუხა ბოლოს ნიანგს, - ჯერ უთავო მაიმუნი იპოვე!

- კარგი, რა გაეწყობა, წავალ და მოვძებნი, - თქვა ნიანგმა და წავიდა.

ნიანგი დღესაც ეძებს უთავო მაიმუნს და ჯერაც ვერ უპოვია.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემობაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რატომ შესთავაზა მაიმუნმა ნიანგს ბანანი?**

ა) თავზე საყრელად ჰქონდა ბანანი.

ბ) ნიანგის გულის მოგება უნდოდა.

გ) უნდოდა სტუმარს გამასპინძლებოდა.

2. **როგორ მოიქცა ნიანგი მაიმუნის შეთავაზებაზე?**

ა) ბანანი ეგემრიელა და ყველა მიირთვა.

ბ) ბანანი თავადაც ჭამა და ცოლსაც წაუღო.

გ) ბანანის ჭამაზე უარი განაცხადა.

3. **რა დაავალა ცოლმა ნიანგს?**

ა) ბანანების მოტანა.

ბ) მაიმუნის გულის მოტანა.

გ) მაიმუნის დაპატიჟება.

4. **რატომ უთხრა თავიდან ნიანგმა ცოლს უარი სურვილის შესრულებაზე?**

ა) აღარ ახსოვდა მაიმუნის ადგილსამყოფელი.

ბ) ეგონა, მაიმუნის დაჭერა ძალზე ძნელი იყო.

გ) ესირცხვილებოდა გულუხვი მასპინძლის მოტყუება.

5. **რას ნიშნავს „ვერ გადაათქმევინა?"**

ა) სურვილი ვერ შეუსრულა.

ბ) ტყუილი ვერ ათქმევინა.

გ) უარი ვერ ათქმევინა.

LIVEWORKSHEETS

6. რამ შეაფიქრიანა ნიანგთან მიპატიჟებული მაიმუნი?

ა) რატომ მოინდომა მისი სტუმრობა ნიანგის ცოლმა.

ბ) როგორ მიეტოვებინა სანაპიროზე თავისი ბანანის ხე.

გ) როგორ წასულიყო წყალში მცხოვრებ ნიანგთან სტუმრად.

7. რა მიზნით გაუმხილა ნიანგმა მაიმუნს თავისი ნამდვილი განზრახვა?

ა) მაიმუნს თავისი მდგომარეობა რომ შეეფასებინა.

ბ) მაიმუნს მისი ცოლის ახირება რომ გაჰკვირვებოდა.

გ) მოხერხებულობით თავი რომ მოეწონებინა.

8. რა გზით სცადა მაიმუნმა თავის გადარჩენა?

ა) ბანანების შეთავაზებით.

ბ) თავისი ვიშვიშით.

გ) ნიანგის გაბრიყვებით.

9. რა იგულისხმა ზღაპრის გმირმა სიტყვებში „უთავო მაიმუნი"?

ა) გულუბრყვილო მაიმუნი.

ბ) მშიშარა მაიმუნი.

გ) უგუნური მაიმუნი.

10. ზღაპრის მიხედვით, ნიანგი არის:

ა) მშიშარა და მატყუარა.

ბ) უჭკუო და სულსწრაფი.

გ) ძლიერი და ჭკვიანი.

11. რომელი წინადადებიდან ჩანს ნიანგის სიბრიყვე?

ა) „ეგ არაფერია. ზურგზე შემაჯექი და ისე წაგიყვან".

ბ) „მეშინოდა, ვერ დავიჭერ-მეთქი, შენ კი შენი ნებით მომდევ".

გ) „ნიანგი დღესაც დაეძებს მაიმუნს და ჯერაც ვერ უპოვია".

LIVEWORKSHEETS

12. **რას გვასწავლის ეს ზღაპარი?**

ა) სულსწრაფობა დამღუპველია.

ბ) ტყუილის თქმა არ შეიძლება.

გ) უმადურობა ცუდი თვისებაა.

LIVEWORKSHEETS

საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ვარსკვლავები გვეხმარებიან

ცაზე მოციმციმე უამრავი ვარსკვლავი მხოლოდ სილამაზით როდი იზიდავს ადამიანს. ისინი გზის გაგნებაშიც ეხმარებიან მას. დღეს ამ მიზნით ბევრი საშუალება გამოიყენება. მათგან ყველაზე პოპულარულია კომპასი. მისი დახმარებით ადვილია ქვეყნის მხარეების დადგენა. მარტივდება სივრცეში ორიენტაციაც.

კომპასი პირველად ჩინელებმა გამოიყენეს ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ. ამ ხელსაწყოს ცენტრში დამაგრებულია მაგნიტური ისარი. მისი ერთი ბოლო ლურჯად ან შავად არის შეღებილი, მეორე - წითლად. ისრის ლურჯი მხარე მუდამ ჩრდილოეთისკენ არის მიმართული. ამის მიხედვით სხვა მხარის გარკვევაც უკვე სირთულეს არ წარმოადგენს. ამიტომაც უნდა შევეცადოთ, რომ ტყეში, ტრიალ მინდორზე ან ნავით შუაგულ ზღვაში ყოფნისას თან ვიქონიოთ კომპასი.

წარმოვიდგინოთ, რომ ვიმყოფებით უღრან ტყეში და ხელთ არ გვაქვს კომპასი. როგორ დავადგინოთ ასეთ დროს ქვეყნის მხარეები? როგორც ცნობილია, მზე აღმოსავლეთიდან ამოდის და დასავლეთით ჩადის. თუ ვიცით, საით არის აღმოსავლეთი, პრობლემას ადვილად მოვაგვარებთ. უნდა დავდგეთ ისე, რომ აღმოსავლეთისკენ ვიყუროთ. ზურგის მხარეს დასავლეთი იქნება, მარცხნივ - ჩრდილოეთი, მარჯვნივ კი – სამხრეთი. ქვეყნის მხარეების დადგენის შემდეგ ადვილია საჭირო მიმართულებით გზის გაგრძელება.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, თუ არ ვიცით, საიდან ამოვიდა მზე? ამისთვის უნდა დავაკვირდეთ ბუნებას და ის დაგვეხმარება გზის გაკვლევაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიპოვოთ დიდი ხე. მას ჩრდილოეთის მხარეს ტანზე აუცილებლად ექნება ხავსი. ხის ხავსიანი მხარისკენ თუ ზურგით დავდგებით, სწორედ ქვეყნის ჩრდილოეთს

LIVEWORKSHEETS